

ბაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
21	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომ. — ერთი შიურთ.

# ივერიის

რედაქცია:  
ნიკოლოზის ქუჩა, 21.  
ტფილისა.  
ბაზეთის დასაბარებლად  
და განცხადებთა დასაბეჭდად  
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ  
გამოვრც. საზოგადოების კანცელარიას.  
ფასა განცხადებისა:  
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ  
16 კაპ. მეორეზედ — 8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

თავადნი დიმიტრი და ბესარიონ გრიგოლის ძენი მხეიძენი, კნენა მაკრინე გრიგოლის ასული დადიანისა და კნენა ნინო გრიგოლის ასული შერვაშიძისა აუწყებენ ნათესაეთა და ნაცნობთა გარდაცვალებას ძვირფასის დედისა თვისისა **კნენა მარიამ მხეიძისა თავადის ქათია დადიანის ასულისა**. გასვენება ძველ-სენაკში დანიშნულია 20 ამა თებერვალს. პანაშვიდი ყოველ დღე 12 საათზე საკუთარს ეკლესიაში.

(1-5-1).

**კნენა ალექსანდრა მაკარის ასული მელიქოვისა თა. ვისს შვილებით** გულითადის მწყურბრებით აცნობებენ თავიანთ ნათესაებს და ნაცნობებს გარდაცვალებას პირველი შვილისას და მეორენი თავიანთ ძმისას, კამერ-იუნკრის თავადის **ალექსანდრ. მელიქოვის ძის მელიქოვისას**. ბათუმში გვამს მოასვენებენ 16 თებერვალს 12<sup>1/2</sup> საათზე რკინის გზის ვოკალზე, საიდანაც მიასვენებენ წმ. გიორგის ეკლესიაში ქვაშეთში 17 თებერვალს, 10 საათზე. წირვის შემდეგ წაასვენებენ მთაწმინდაში დასასაფლავებლად.

(1-23-1)

**მთავრობის ბანაკარზულებანი.**  
სასჯულთა საქმეთა სამინისტროს უწყებისაგან — სტატსკია სოკეტნიკობა მიეცათ: მომრეგებელს მოსამართლეს განჯის მაზრისას. მეორე მხარეს, მომრეგებელს მოსამართლეს ფოთის განჯოფილისას მრევლიშვილს; კოლეჯსკია სოკეტნიკობა — მომრეგებელს მოსამართლეს შორაზნის განჯოფილებისას „ყუბანიევიშვილს; ნაღორ-

ნა სოკეტნიკობა: განჯის მაზრის მომრეგებელს მოსამართლეს თანაშემწეს კიკნაძეს; კოლეჯსკია ასესორობა: ქუთაისის მომრეგებელს მოსამართლეს თანაშემწეს სარაჯიშვილს; და ლენსუბის სსსამართლო განყოფილების მომრეგებელს მოსამართლეს თანაშემწეს ხაბურზანიას; ტიტულაჲნი სოკეტნიკობა მიეცათ: ბაღდადის მომრეგებელს ნაწილს გამგეს ჩაჩიბაიას; და მომრეგებელს მოსამართლეს მღვდლიშვილს,

**ფელეტონი**  
გურიის აზან-ჩაჰანი.  
II  
წარსულმა წელიწადმა ძალიან თავალ-საჩინოდ დაგვიტოვა, რომ აღამიანი დღეთისაგან გაჩენილ ქვეყანაში გონიერი და დამზოგველი მუშა უნდა იყოს და არა უგუნური და უნაგარიზო გამანადგურებელი ბუნებრივ სიმდიდრისა, ბუნებრივ დოვლათისა. თუ არ ამას მაშ სხვას რას უნდა მიეწეროს ასეთი განზირება ხანგრძლივის გოლისა, გამანადგურებლის წყალ-დიდობისა და გაძლიერება ქარებისა. ჯერ კიდევ არიან ჩვენში მოხუცებული კაცები, რომელთაც ძალიან კარგად ახსოვთ, რომ გოლვა სრულიადაც არ ყოფილა და თუ ოდესმე კანტი-კუნტად მოხდებოდა, საიმისო ზარალს ვერ მოიტანდა თურმე. მდინარეები, რაც უნდა დიდი წვიმები ყოფილიყო, ნაპირს არ გადავიდოდნენ; ხოლო აღმოსავლეთის ქარი იმდენად სუსტი თურმე იყო, რომ სანთელს ვერ აქრობდა. ამაზე უფრო ძლიერი არც დასავლეთის ქარი იყო. მართლაც ასე იქნებოდა, რადგანაც, როგორც იგივე მოხუცებულნი ამბობენ, ჩვენი უმთავრეს მდინარეების ნაპირები მაშინ ატეხილ ქალებით ყოფილა დაბურული. ამ ქალებს მოტიტულე-ბულსა და გავრანებულს ქედ-გორა-

კებს ხელ-უხლებელი ტყეები თურმე ჰგარავდნენ. სოფლებს ხომ, რაღა თქმა უნდა, მაღლარ ვენახით გაშენებული თვალ-უწვდენელი ხეები ამშვენებდა და აკრებდა. მაშინ ჩვენს ტყეებში ირემსა, გარეულ ღორსა, მშველს და სხვა ბუნების დამამშვენებელ ნადირს უშიშარი ბინა ჰქონებოდა. ჩვენს ქალებში ბლომად ყოფილა ხობობი, ტყის ქათამი და სხვა კარგის ჯიშის ფრინველები. ჩვენი მდინარეები გამოუღოველი სიმდიდრე თურმე იყო სხვა-და-სხვა გემრიელ თევზისა...  
ახლა-ღა? ახლა, სადაც წინად ხშირი ტყე ყოფილა ას-წლოვან მუხისა, წაბლისა და წიფლისა, იქ ბალახიც ძლივსა ხეირობს და, არა თუ ირემი ვეღარ იშოვის ბინას, არამედ კურდღელსაც ვერ შეუფარებია თავი. სადაც წინად ხობობი უშიშრად თურმე ბინადრობდა, ახლა იქ ბელურა ჩიტიც ვეღარ ახერხებს მოცდას. თევზი ხომ, წინანდელთან შედარებით, მოსპობილად ჩაივლება. მერე რატომ მოხდა ყოველივე ეს? იმიტომ რომ გავრანდა და განადგურდა ტყეები, გაიჩეხა და გაიკაფა ქალები, გატიტულდა და გახრიოკდა სოფლები. ავიღეთ ბუნება აბუჩად, მაგრამ არც ჩვენ დავეყარა ხეირი. ქვეყანამ დაჰკარა პოხიერება და ზეცამ ცვარია. ერთის კვირის უწყვილობა საკმარისია, რომ ყანები ხელის გულზე მოსაფშენეტი გახდეს; სამაგიეროდ ერთი ღონიერი წვიმა წარ-

გამგეს წაღვებისას სამოსამართლო ნაწილსა კიკინაძეს, ჩხატაშვილს გამომრეგებელ ნაწილს ლორდ-ტიფანიძეს. რაჭის მაზრისას ხარაძეს, ბათუმისას ანჯაფარიძეს, ქუთაისის საქალაქო გამომრეგებელ ნაწილს გამგეს ყიფიანს, ოზურგეთისას კეჭრაცხსა და ოკუპაციისას წერეთელს.

## ახალი ამბავი

\* \* \* ოლთისიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „უსაყვარელის მწყემსთ-მთავრისა და სანაქებო მქადაგებლის ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალებამ ყველანი დიდად შეგვაწუხა; გადავიხადეთ რა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, ვუერთებთ ჩვენს მწყურბრებს ჩვენთა დანარჩენ მემამულეთა მწყურბრებს, რომელნიც გულწრფელად იგლოვენ ამ ძვირფასს დანაკარგს. ოლთისის ქართველები“.

\* \* \* ს. მურხანი: ნეტარ-ხსენებულის ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სულს მოსახსენებლად 2-სა და 4 თებერვალს მურხანის ეკლესიებში მღვდლების მ. მარინოვისა და მ. კარბელოვის მიერ მრავალის ხალხისა, აქაურ მასწავლებლებისა და მამასახლისის თანადანსწრებით პანაშვიდი იქნა გადახდილი.

ღენას მოახდენს. ქარი ხომ გამოდემებით ჰქრის. ხან ქვენა გრიბლებს და გვანდგურებს, ხან ზენა წრიალებს და გვაწიოკებს. თუ ჩვენი ძველები ირემსა, გარეულ ღორსა და ხობობს ნადირობდნენ, ახლანდელე-ბი ნადირობის ენს ბელურა ჩიტზე და შაშვზე იკლავენ. ხოლო სამწყურბარო ისაა, რომ ცოტა ხნის შემდეგ ეს ფრინველებიც გადაშენდებიან და შემდეგ ტარასკონლებსაგან ქულებზე თუ გავმართავთ ნადირობას, თორემ სხვა აღარაფერი დარჩება.

ნადირობა და ფრინველთა გადაშენება, რა თქმა უნდა, შედეგი იქნება იმ უკუღმართ გარემოებისა, რომ, თუ ასე წინდაუხედავად და უნაგარიზოდ ვიარეთ, ხეთა და ბუნება ხსენებას გავაქრობთ, ტყეების ნასახსაც აღარსად დავტოვებთ და სიტუაციისილამაზით ედემის დასადარს ქვეყანას უდაბნოდ გადავაქცევთ...

ესეც არ იკმარებს ჩვენდა უმედურებად და სხვა უარესი განსაცდელი დაგვატყდება თავს. გამოფიტული, ძალია გამოღუფილი, უდაბნოდ ქმნილი ქვეყანა, ის ქვეყანა, რომლის თითოეულ მუშა მიწაში არეულია ჩვენი მამა-პაპათა სისხლი და ფერფლად ქცეული გვამი, ადვილად დასათმობი შეიქნება; ადვილად გავვისხლტება ხელიდან; ადვილად გამოგვეცლება ფეხებს ქვეშედამ და მაშინ ხომ სულ ცალიერ-ტარიელი დავრჩებით, მოგანო და ტაბარუკი გავხდებით. თუმცა ზოგიერთების აზრით,

\* \* \* ს. ქრისტოყავი (კავკასის მაზრა); ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალებამ თანასწორად შეაწუხა როგორც აქაური ქართველი სამღვდელოება, ისე ოსების სამღვდელოებაც, ვინც-კი იცნობდა ნეტარ ხსენებულ მღვდელ-მთავარს. 10 თებერვალს ქრისტოყავის ყ-დ წმიდა-ღვთის-მშობლის ეკლესიაში პანაშვიდი გადახედეს ამ-ეკლესიის კრებულთ.

\* \* \* სადგური სუფსა: კვირას 11 ამ თვეს მღვდელმა ბართლომე ჩხარტიშვილმა გარდაიხდა წირვა და პანაშვიდი ჩვენის სისიქადულო მღვდელ-მთავრის გაბრიელის სულის მოსახსენებლად. მიუხედავად სასტიკ ავდრისა და დიდის თოვლისა, ყველა გურიელები ოჯახობით და საზოგადოება მრავალი დაესწრო. ხალხს განუმარტა მღვდელმა ჩხარტიშვილმა დიდებულობა და ღირსება გაბრიელ ეპისკოპოსისა.

\* \* \* ს. მარტვილი (სენაკის მაზრა): დიდის თოვლისა გამო ჩვენ მხოლოდ 2 თებერვალს შევიტყეთ, რომ საქართველოს საუკეთესო მწყემსთ-მთავარი იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი გარდაიცვალა. ყველანი დიდად შეგვაწუხა ამ ამბავმა. მეორე დღესვე ბლოლოჩინმა მღვდელმა კაპიტონ გაწერელიამ მრავალის ხალხის თანადანსწრებით გარდაიხდა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად და მოკლე

ეს დრო სანატრელია და რაც უფრო ჩქარა მოვა, მით უკეთესია; მაგრამ მე უგუნურს-კი მგონია, რომ ეს იქნება უმეკელი მომასწავებელი ჩვენის აღგვა-გაქარწყლებისა დედამიწის პირისაგან.

ღმერთმა ნუ ჰქნას ეს წინასწარ-მეტყველება გამართლდეს, მაგრამ, გატეხილი კი უნდა მოგ-ხსენოთ, ძალიან გულ გატეხილი ვარ. არაფერს სანუგეშოსა და საესავოს ამ მწარე მოლოდინის გამაბათილებელს არ ვხედავ. პირ-იქით ისე მოუწყობელი და აწევილ-დაწევილია ჩვენში მიწათ-მფლობელობის საქმე, რომ განადგურების მეტს იმის ფურცლებზე ვერაფერს ვერ ამოიკითხავთ. ძმა ძმას ეგვიბრება, გვარი გვარს, კერძო მემამულენი სახაზინო ქონებათა აგენტებს, აცა რომელმა მეტი მამული გავაოხროთ და გავანადგუროთ. სად არის დაზოგვა, სად არის შეგნება იმისი, რომ ამით საშვილი-შვილო ცოდვას სჩადიან. მიზეზი ამისა, რასაკვირველია, ის არის, რომ ჩვენი მამულები უმეტეს ნაწილად გაუმოქანავია და, მამასადამე, სადაო და სახათაბალოა. ბევრგან გამოჩნული მამულებიც არ არის დავისა და დარაბისაგან თავისუფალი. კერძო მემამულეთა შორის დავა ასე თუ ისე გადაწყდება და გამოირკვევა. ხოლო უბედურება ის არის, თუ სადაო საქმეში ხაზინის ინტერესიც ოდნავ ურევია. მაშინ საქმის გამორკვევას

გარძობიერი სიტყვა წარმოსთქვა გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობის შესახებ.

\* \* \* იქიდაბვე: აქ თოთხმეტ იანვარს დაიწყო თოვლა და მას აქეთ თითქმის ყოველ-დღე თოვლს, ისე რომ ორ ალბამდის თოვლი დასდვა. ს. მარტვილში თავი იჩინა აგრეთვე ყვეილმა. ამ სენმა მრავალი კიდევ იმსხვერპლა. ამასთანავე იმფლუნციით ავადმყოფობაც ძლიერ გახშირებულია. ექიმი ეხლა-კი, ღვთის მადლით, ძლიერ კარგი გვეყავს.

\* \* \* ბაქოს სადგურის რკინის გზის მოსამსახურეთ წიგნთ-საცავის დაარსება განვიზრახეთ. ნახევარი ფული თითქმის შეკრებილია და დანარჩენსაც, ჯერ-ჯერობით წიგნთ-საცავისათვის სამყოფს, მალე შევაგროვებთ, რადგანაც ყველა დიდის სიხარულით და თავამოდებით შეუდგა ამ საქმეს. წიგნთ-საცავისათვის საჭირო ოთახი სადგურის უფროსმა დაგვითმო უფასოდ.

\* \* \* როგორც გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ე სწერს, კავკასიის საქალაქო უწყების სამკურნალო ნაწილის გამგეობას, სადაც ჯერ არს, შეუამდგომლობა დაუწყია, რომ ფული იქმნას გადაღებული უკანონოდ შობილ მიგდებულ ბავშვების აღსაზრდელად კავკასიაში; ფული ასე უნდა იქმნას გუბერნიებზედ განაწილებული: ქუთაისის გუბერნიაში, სადაც უფრო მეტია შემთხვევა ბავშვების მიგდებისა,

და დაბოლოვებას რომ ეღიროსოთ, მითუსალას დღეგრძელობა უნდა გქონდესოთ, იობის მოთმინებით უნდა იყოთ აღჭურვილი და ჩვენის სამართლო მეცნიერების ყოველი მუხლი ზებირად უნდა იცოდეთ. ესეც არა კმარა. თუ ყოველსავე ამასთან როტშილდის შეძლებაც არა გაქვსოთ, ვერას გახდებით. მერე რომ იცოდეთ რა ადვილია ასეთს აურზაურში გაბმა. ხაზინის ტყის მცველმა რომ შემთხვევით თქვენს მამულში გაიაროს და თუთუნი მოსწიოს, შემდეგ „ლომის-კარელზე“ დაიფიცავს, ამ მამულს ვითარცა ხაზინის საკუთრებას ვიცავდით და განვაგებდითო. მორჩა და გათავდა. დაიწყება ერთი დაუსრულებელი დავა, რომელსაც მოჰყვება უმეტესი განადგურება სადავო მამულისა და სრული გაღატაკება დავაში გაბმულის მემამულისა. თუნდ ესეც არ იყოს, თუნდ მიწა-მფლობელობის საქმე სასურველად იყოს მოწყობილი ჩვენში, მაინც ძნელი დასაფარავია ჩვენი ტყე-მამულები გაოხრება-განადგურებისაგან. ვიდრე არ გვეცოდინება თითოეულის ხის, თითოეულის ბუჩქისა და ბალახის, თითოეულ მტკაველა მიწის ფასი და მნიშვნელობა, მანამდე რა მომჭირნობა, რა დაზოგვა და სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ ან ტყისა, ან მამულისა. ვიდრე ჩვენს გულში არ დაიბუდებს ესტეტიკური გრძობა ბუნების მშვენიერებისა და ლაზათის შესაგნებლად, მანამდე როგორ





რის სათხოვარიც არ უნდა მოესმინა საბჭოსაო. დასასრულ კრებამ ის აზრი გამოთქვა, რომ ვსთხოვთ საბჭოს, რედაქტორს ჯერ ნუ მოიწვევს, სანამ ვიცე პრეზიდენტი საბჭოსა და ერთი წევრი ამისი აირჩეოდნენ და სანამ სარედაქციო წეს-რიგის დებულება დამტკიცდებოდეს. ეს საგანი კენჭის ჩამოტარებით გარდასწავრება კრებამ და ამოუვიდა 16 თეთრი და 6 შავი.

საბჭოს ბ-ნ ყახახიშვილის მიერ შედგენილი წიგნი მიეღო შესახებ ფუტურის მოკლისა. ეს წიგნი განეხილა საბჭოს მინდობილობით ბ-ნს პ. ყიფიანს. «საზოგადოებამ» ის აზრი წარმოთქვა, რომ კარგი იქნება ამისთანა სახელმძღვანელოების გასარჩევად კომისია დანიშნოს და ამ კომისიის აჩვენებულ საბჭოს მიანდევს.

„საზოგადოების“ მუზეუმის რიგ-ზედ მოყვანისათვის საბჭომ ითხოვა და მიეცა 500 მანეთი. კამათობამ აღმოაჩინა, რომ ეს მუზეუმი სრულ-რამდენად არ არის დასრულებული, ბევრი ნივთი წაღებული აქვთ სხვებს დიდი ხანია და აქამომდე არ უბრუნებენ. მუზეუმის ქონების ცნობაში მოყვანა მიენდო „საზოგადოების“ მდივანს. ჩამოვარდა კამათი იმაზედ, რომ კრებების პროტოკოლები დრო-ზედ არ იკითხება და არ მტკიცდება. მდივანმა საზოგადოებისამ ბ-ნმა იოსელიანმა აუხსნა „საზოგადოებას“, რომ იმდენი საქმე მაქვს, შეუძლებელია ყველა წევრთა სიტყვის ჩაწერა მოვასწრო.

ბ-ნ ა. კახაგულაძის წინადადებით კრებამ დაადგინა, რომ პროტოკოლები ამას იქით მხოლოდ ისე შეადგინოს მდივანმა, შიგ მარტო საგანი იყოს აღნიშნული, რაზედაც კამათობა ჩამოვარდება და კრების გარდასწავრება.

დასასრულ მიიღეს ახალი წევრნი: ბ-ნი კუჩინაძე, გოლუბაძე, ტოკარსკი, ვ. რ.—ძე ყიფიანი, ბრონ-ფონ-ბრენერი, მ. ე.—ძე ხელაძე და ვერშიშვილი.

ბ-ნი სტახოვსკის მოხსენებით „საზოგადოებამ“ მხედველობაში მიიღო, რომ მომავალ მარტის 28 რიცხვსა იტალიის ქალაქ პადუაში 25 წლის არსებობა შეუსრულდება იქაურს სააბრეშუმო სადგომსაო.

ბ-ნ ი. ქუთათელაძის აზრი შესახებ იმისა, რომ „საზოგადოებამ“ შემწეობა აღმოუჩინოს ქუთათისის გუბერნიის დაზარალებულთ, თავ-მჯდომარემ გამოაცხადა, რომ ამას საბჭოს მოვასხენებ და, რასაც გადასწყვეტს საბჭო, საზოგადოებას მოვასხენებო.

ს ი ტ ვ ა

თქმული ყოვლად სამღვდლო ბესარიონ ეპისკოპოსისაგან ქუთათისის საკათედრო ტაძარში გაბრძოლ ვისკოპოსის წესის აგებაზე მ თებერვალს.

წმიდაო მამაო და ქრისტეს მიერ ძნაო გაბრძოლი რომლითა სიტყვითა აღმოვსტქვა სიმძიმელი სულისა ჩემისა და მწუხარება მთელისა სამღვდლოებისა და სამწყსოებასა შენისა დიდსა ამას წამსა, ოდეს გხვდავთ შენ დიდსა და ქადაგ ღმერთ შემოსილსა მოძღვარსა უძრავად მდებარესა ცხედარსა ზედა სიკვდილისასა? რომლითა სახითა მოვუთხრა კვეთებანი და გვემანი დაობლებულთა მღვდელთა

და ერთა გრძობათანი, რომელნიცა გულ-შეძრწუნებულად უყურებდნენ ხანგრძლივსა საღმრთოსა თავისის კეთილის მწყემსისა და შეყვარებულის მეთუფისასა?! რომლითა ღირსეულითა ღონითა დაღადავყო სულ თქმანი და ვაებანი, აღმავსებლნი გულთა ჩვენთანი შენგან დატევებისა გამო ჩვენისა უღირსებისა და სოფლისა ამის ამბობებისა?!...

არა მაქვს სიტყვა, გამომთქმელი ყოველთა ამთ გლოვითა და ურავათა სამწყსოება შენისათა წინაშე შენ სიტყვა-განმწონის და ღრმად გამომეტყველის მღვდელ-მთავრისა; ვერ ვპოვებ სახესა, შესაბამად გამომსახველსა დიდისა მის ხატისა სახიერისა მოძღვრისასა, რომელიცა ქეშ-მარტების ღირსებითა გმოსია შენ; ვერ მიწვდომილვარ ღონესა, რომლითაც დაღადავყო შესამსგავსად სიმძიმე შენისა განსვლისა ამიერ სოფლით, სადაც მთესვარ-იყავ თესლთა კეთილთა, თესლთა სახარებისა და მაცხოვარებისათა!...

გარნა არა უძლურითა სიტყვითა გამოითქმინა ძალნი სწავლათა შენთანი, რომლითა ზრდიდი სიტყვიერთა ცხოვართა შენისა სამწყსოებათა; არა მარტითა სახითა გამოიხატებანი მადლნი შენის ქველის საქმიერის და მართლ-მკვეთელობითის ქეცვისანი, რომლითა გგომღვრიდი სამღვთოსა ახოვნებასა, თვალუხვავობასა და განუდრეკელობა-სა სიმართლისა და სამართლისასა ყოველთა მწყემს-მთავართა; არა ვაებისა დაღადავითა წარმოიჩინებანი სულისა ვნებანი და წყლულებანი, რომლითაცა განმსკვალულონი მღვდელნი და ერნი შენისა საყვარლისა სამწყსოებასა და სამშობლოსანი გარემოგვიცვენ შენ ღვთის-მიერსა მამასა, სიმართლისა მოძღვარსა, მტკიცესა მწყემს-მთავარსა, ბრძენსა მოღვაწესა, დაუშრომელსა ქველის მოქმედსა, მეცნიერსა მუშაკსა, შეურყეველსა მცველსა ქრისტეს ნათელისასა, რომლითაცა ბრწყინვენ საქმენი შენნი კეთილნი“ წინაშე ჩვენსა.

საქმენი ესე შენნი დაღადავებ ყოველსა ამას დიდებასა შენისა მსახურებისასა, სჯულისა ქეშმარტებისა მაგალითად და ნუგეშად ჩვენ მსახურთა ეკლესიისათა სიქალღულად მშობელისა ერისა შენისა და სამოძღვრებელად ყოველისა სამწყსოებასა საქრისტიანოსა და უმეტეს სამწყსოებასა შენისა, სადაცა შენითა მღვიძარებითა და მოსწრაფებითა აღშენდნენ და მოეფინენ მათა და ბართა ტაძრნი პატრიოსანი, სსწავლებლნი, ღვთის-მცნობელობისანი, კრებულნი კეთილის მსახურებისანი, წესნი სჯულიერებისანი, შეწვევანი გაკორეებულთანი და თვით შენ ქეშმარტო იერარხო მსხვერპლის შემწირველო ქრისტესო სიტყვანი შენნი სრულ-ჰყავ საქმითა, განახორციელებსა სახარებისა, შეიმოსე სიმართლე—„შემოსე ქრისტე“, რომლისა წინაშე აწ წარდგომილ-ხარ განშენებული ამა საქმეთაგან შენთა, რომლითა ცხოველ-ჰყავ სარწმუნოება შენი უფლისა ღვთისა მიმართ მაცხოვრისა... გლოვავ წმიდაო მეუფეო და მოძღვარო, შეაგედრო სამწყსო შენი და უღირსება ჩემი დაშაბდებულსა და მხსნელსა ჩვენსა იესოს, რათა ლოცვითა შენითა მოავლინოს მადლი მისი ჩვენ-

ზედა ბაძვად შენისა ქეცვისა და მოღვაწეობისა და მომცეს ძალი აღსრულებად წმიდისა სრბისა სჯულსა მისსა სახისაებრ სიმართლისა და სიმტკიცისა შენისა ძნელსა ამას სარბიელსა ცხოვრებისასა და მადლი შენი დაადგრეს ჩვენ ზედა.

უცხოეთი

ივზლისი. საზოგადოებათა პალატის ირლანდილთა პარტიამ 38 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 21-სა პრეზიდენტად დილონი ამოირჩია. ჯონ დილონი 1851 წელს დაიბადა პარლამენტში მოღვაწეობა დაიწყო 1880 წ. პარლამენტში დილონი თავი მალე იჩინა, როგორც პომრულის ერთგულმა მომხრემ. იგი დიდ მონაწილეობას იღებდა პარტიის მიერ შემდგარს კამპანიაში და მრავალ-გზის იქმნა დაპატიმრებული იმის გამო, რომ მიტინგებზედ სიტყვებს ამბობდა ხოლომე. 1881 წელს დილონი დებუტატობიდა გადაყენეს და მხოლოდ 1886 წელს-და დაბრუნდა პარლამენტში. შემდეგ ამისა დილონი და მასთან ერთად ობრაინმა საკმაოდ მძლავრი აგიტაცია შეადგინეს ირლანდიის ავტონომიის სასარგებლოდ, რისთვისაც პოლიციამ დაუწყა დევნა; ამის გამო დილონი ამერიკაში გაიქცა. დილონი მაინც გასაპართლეს. 1890 წ. იგი ევროპაში დაბრუნდა, რომ გლადსტონისა და პარტის შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების საქმეში მონაწილეობა მიეღა და როგორმე მოერიგებინა, ხოლო 1891 წელს დაბრუნდა ინგლისს; აქ იგი მაშინვე დაპატიმრეს. როდესაც 1892 წელს დილონი ხელახლად დაუბრუნდა პარლამენტის საქმეებს, მას თვალსაჩინო ადგილი ეკიბრა ანტიპარტიისტთა პარტიაში.

ნ თებერვალს პარლამენტმა განიხილა გარინგტონის წინადადება, რომ განთავისუფლებულ იქმნან ირლანდიის პოლიტიკური დამნაშავენი. წინადადების სასარგებლოდ ილაპარაკეს არა მარტო ირლანდიელთა პარტიის წარმომადგენლებმა, არამედ ზოგმა მთავრობის პარტიიდანაც, როგორც მაგალითად ცნობილმა ისტორიკოსმა ლეკიმ. მაგრამ უმეტესობა მაინც წინააღმდეგი იყო და ამინსტია უარ-ყოფილ იქმნა 279 ხმით წინააღმდეგ 117.

იტალია. აბესინიაში მალე დაიწყება გაბმული წვიმიანობა, რომელიც გასტანს ექვს თვეს. ამ ხნის განმავლობაში ომი შეუძლებელია, რასაკვირველია, და ამიტომ იტალიელთა ჯარის მდგომარეობა ცუდათ არის. დღემდის გენერალი ბარატერი და აბესინელთ მეფე ბრძოლას ვერ ჰბედავენ და დაბანაკებულნი ერთმანერთს შესტკეპდნენ. ახლა, გაზეთების სიტყვით, აბესინელები ბანაკს სტოვებენ და ბრუნდებიან შიგ პარტიკაში. ამრიგად იტალიელთა აღარ ექნებათ შემთხვევა გადაუხადონ მაგიერი აბესინელთ და ამით აღამალღონ პრესტიჟი იტალიისა აფრიკაში. იტალიის გაზეთები ამ ამბების გამო მეტად გაბრაზებულნი არიან და უჩვენებ ბარატერს, რომ უთუოდ შეებრძოლოს მენელიკს წვიმების დაწყებამდე.

საზრანგეთი. საფრანგეთის მთავ-

რობის ეხლანდელ მდგომარეობაზე სხვა-და-სხვა აზრისა არიან სხვა-და-სხვა გაზეთები: „ჟურნალ დე დება“ ამბობს, რომ სამინისტრო სენატის წინაშეც პასუხის მგებელიაო. „ტანი“ უჩვენებს პრეზიდენტს, ენერგიულად მოიქეციოთ, მხოლოდ თქვენს ავტორიტეტს შეუძლიან ამ არეულ-დარეულ საქმის გამოწყობაო. „ფიგარო“ ამბობს, ბურჟუას სამინისტრო რევოლუციონურ გზას დაადგაო. პრეზიდენტის მოვალეობაა სამინისტრო დაითხოვოსო. წინააღმდეგ შემთხვევაში ან პარლამენტი უნდა დაითხოვოს და ან სენატი გააუქმოსო.

ერთი ოფიცოზური გაზეთი ამბობს, ეხლა რომ სამინისტრომ სამსახურს თავი დაანებოს, პარლამენტის შეურაცხყოფა იქნებაო. სენატის უწინდელმა თავმჯდომარე ლეროამ უთხრა თორმე „გოლუა“-ს ერთს თანამშრომელს, თუ სამინისტრომ ვერ მოგვცა სასიამოვნო პასუხი კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესახებ რომ დავეკითხებით, მაშინ ყოველივე კავშირს გავწყვეტო მთავრობასთან და არ არსებულად ჩავთვლითო. კონსტიტუციის გადასინჯვად სენატი არაფრისთვის არ დასთანხმდება, პარლამენტს არ დაითხოვს, რადგან მთავრობა რადიკალურს სამინისტროს ეკუთვნის და არჩევნების ხელმძღვანელობა მათს ხელში იქნებაო. ამბობენ კიდევ, რომ პარლამენტის სხდომებს ერთის თვით შესწყვეტენ. მაშინ სამინისტრო ამ ერთის თვის განმავლობაში აღმინსტრაციაში სულ თავის მომხრეებს დანიშნავს და ამგვარად სენატთან საბრძოლველად მოემხლებებაო. უკიდურეს შემარცხენე დასმა უკვე დაიწყო სენატის საწინააღმდეგო პოლიტიკა და სხვა-და-სხვა ნაღიშზე და პროკლამაციებში აცხადებს ამ თავის წინააღმდეგობას.

შეიძლება ესეც მოხდეს, როგორც ზოგიერთი ფიქრობს, რომ სენატმა და პარლამენტმა შესწყვეტოს სხდომები 15 აპრილამდის. იუსტიციის მინისტრად დანიშნოს ბრისონი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში გამოძიებას გაათავებს. ამის შემდეგ სენატი და პარლამენტი დაწყნარდება და მათ შორის ისევ თანხმობა ჩამოვარდებაო.

კორეა. „ტანი“ აი რას ამბობს კორეის საქმეების შესახებ: ამ საქმეობილამ მოგება დარჩა მხოლოდ ამერიკელებსა. ამერიკელების ხელშია კორეის სამხედრო ძალა და როგორც ნებაზე ისე მოიხმარენ მას. საფრანგეთისა და გერმანიის წარმომადგენელნი მხარს უჭერენ რუსეთის ელჩს. როგორც ჰგავს, რუსეთის გავლენა თანდათან იზრდება ამ ქმარეში, ეს იქნებაცა სწავს, რომ კორეის მეფე ლი გუი რუსეთის საელჩოში დაინაწესოს ცბიერებასა სწამებს, და ისეთს რამეებს აწერს რუსეთის მთავრობას, რომელიც სრულიად არ იქმნებოდა წინააღმდეგი რუსეთის ხელმწიფების პოლიტიკისა შორეულს აღმოსავლეთში, მაგრამ ჯერ მაინც არაფერი საფუძველი გვაქვს ამისი.

„ტანი“-სა სწერენ, რომ უკანასკნელმა მოქმედებამ კორეის მეფისადმი აღელვება გამოიწვია იაპონიაში. იაპონიის პარლამენტის სხდომა შეწყვეტილია ათი დღით და მინისტრებს რამდენჯერმე ჰქონდათ თათბირი ამ საქმეების შესახებ. ამბობენ, რომ

ეს შემთხვევა მაჩვენებელია რუსეთს უნდა კორეის პროტექტორატობა მოიპოვოსო, თუმცა რუსეთის ელჩი ამბობს ამ საქმეებში ჩვენ სრულიად არ ურევიათო.

შურნალ-გაზეთებიდან და ვიზნებიდან

ამოკრებილი ამბები.

— გუშინ \*) ამოვწერეთ ჩვენ მკითხველთათვის იგი მცნებანი, რომელნიც გოლანდიის სამინისტროს შეუკვეთინა მურნალთათვის ჯან-მრთელობის გასაფრთხილებლად. დღეს ვუწვებთ დანარჩენ მცნებებს. აი რა წესებია დანიშნული სხენებულ მცნებათა კრებულში შესახებ იმისა—როგორ უნდა მოიქცნენ და უპატრონონ თავის თავს, როცა შინ კაცი იძულებულია მჯდომელა მსაქმობდეს.

- 1) ფანჯარა, ანუ სანათური (ლაშა) უნდა მხარ-მარცხნივ იყოს შენგან.
2) როცა სწერდ, სკამი ისე დაიდგი, რომ წინა ნაწილი, რაზედაც ზინარ, სტოლს ქვეშ შედგომდეს ცოტად. ამასთან ტან-გამართული, ტანში მოუხრებად იჯეგ და ნუ მიეკარები მკერდით სტოლის პირს.
3) სკამი იმ სიმაღლე უნდა იყოს, რომ იდაყვი შენი სტოლის სიმაღლის სწორად მოდიოდეს. თუ სკამი დაბალია, ქვეშ საკმაო სისქის ბალიში დაიდგე.
4) ფეხები იატაკს დაანდ. თუ ფეხი იატაკს ვერ დააწვინო, (ეს ხშირად მოხდება), დაიდგი რამ საფეხურად და ფეხები იმაზე დაანდ.
5) ნუ დაჯდები ფეხი ფეხზე შემოდებულნი, ან მუხლი მუხლზე, ან ტერფი ტერფზე, ნურც დაიჭიმავ და გაიწოდ ფეხსა სტოლ ქვეშ.
6) უკანა ტან-გამართული იჯეგ, ზურგ-მიყულებული სკამზე და ნუ წახირი წინ თავსა მუხის-მეტად.
7) ორივე მხარი ნიდაყვამდე სტოლზე გქონდეს დანდობილი, მარცხენა ხელით გეპიროს ქალაღი და იმის და კვლად რამოდენადც წერით ძირს ჩაღიხარ, იმოდენად მარცხენა ხელით ნელა-ნელა აღი ზემ-ზემოდ.
8) ქალაღი მკერდის პირ-და-პირ დაიდგე, ცოტა მარჯვნივ მკერდის შუადა.
9) როცა კითხულობ, სკამი სტოლიდან ცოტა შორს გასდგი და წიგნი მაგრა გეპიროს ორისაგ ხელით ცოტა გადმოხრით ასე, რომ ზემო მხარე წიგნისა მაღლა იყოს სტოლზე დანდობილ ქვემო მხარეზე.
10) წასაკითხი ისე უნდა თვალთაგან შორს გეპიროს, რომ 6—7 ვერსოკი მაინც იყოს თვალსა და წასაკითხ შუა.
11) ქალები ისე უნდა სხდომდნენ სკამზე, რომ იუბეები თანსწორად გადიშალოს. ამისათვის ქალები სკამზე რომ სხდებიან, უნდა ერთდებოდნენ იუბეების აქედ იქით გაწვე-გამოწვევას და სწორებას ხელით. ბოლოს თვითონ გოლანდიის სამინისტროც თავისის მხრით დარიგებას იძლევა, როგორ უნდა უფარებონ ტან-ზორცსა.
1) ახალი ჰაერი და მზის შუკი აუცილებლად საჭიროა ტანისა და ზორცის ჯან-მრთელობისათვის და ამიტომაც ყოველი ღონე უნდა იხმარებოდეს, რომ რაც შეიძლება მეტი გზა ჰქონდეს ერთსაც და მეორესაც ადამიანის საღვურში სავალად.
2) უკადე გაიმარჯო ტანი და ზორცი და ამისათვის ყოველ-ღვე იმანდე მთელს ტანსა, ან ზედა-ტანს მაინც, ცივის წყლითა. კვირაში ერთხელ მაინც დაიბანე მთელი ტანი თბილის წყლითა ტანის სიფაქისათვის.
3) თუ თბილი ამინდია, იბანე გარედ, ჰაერზე, იმისთანა წყალში, რომელსაც თავისი სითბო-სიცივე აქვს და უკეთესია, თუ წყალი მზისაგან უკვე მოთბობილი იქნება. წყალში 10-ს წამზე მეტი არ უნდა დარჩე. ბანების შემდეგ კარგა გაიზურე ტანი ზურგით, ან სხვა ამისთანა რამით და მაშინვე წადი და იარე, რომ ტანი გაითბო, ძალიან ვიწრო ტანისამოსი-კი არ უნდა გეცვას ამ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია და უპარო, უნაყო თბილი ამინდია, რამდენსამე ხანს ტიტველი იყავ ბანების შემდეგ, რომ ჰაერმა და მზის სხივმა იმოქმედოს ტიტველა ტანზე.

\*) № 35 „ივერია“ ჟურნალ-გაზეთებიდან და წიგნებიდან ამოკრებილი ამბები.

